შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი

პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახოციელებლის სამსახურში მიღების წესი

მარნეული
2023

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი (შემდგომში - კოლეჯი) პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის სამსახურში მიღების წესი, (შემდგომში - წესი) შემუშავებულია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის პირველი ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით განსაზღვრული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების, მომქმედი კანონმდებლობის, განათლების სფეროს ექსპერტთა რეკომენდაციების საფუძველზე.
2. წინამდებარე წესი მიზნად ისახავს კვალიფიციური, სათანადო ცოდნის, გამოცდილებისა და საჭირო უნარ-ჩვევების მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლების/პროგრამის განმახორციელებების შერჩევას.
3. პროფესიული განათლების მასწავლებელის/პროგრამის განმახორციელებლების შერჩევა ხორციელდება წინამდებარე წესისა და საქართველოს მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 2. პროფესიული განათლების მასწავლებელი

1. სასწავლო საქმიანობის სრულყოფილად წარმართვისათვის კოლეჯს ჰყავს მოქმედი კანონმდებლობითა და სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე საჭირო ოდენობის პროფესიული განათლების მასწავლებლები;
2. პროფესიულ განათლების მასწავლებელთა საათობრივ დატვირთვას და ანაზღაურების წესს განსაზღვრავს დირექტორი ბრძანებით;
3. პროფესიული მასწავლებელი წარმართავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსს/მოდულს, უძღვება მეცადინეობებს, მონაწილეობას იღებს საგანმანათლებლო პროგრამისა და სასწავლო კურსის/მოდულის ადაპტირებაში.
4. პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება ან უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი, რომელიც ფლობს შესაბამის პროფესიასთან დაკავშირებულ ცოდნასა და პრაქტიკულ უნარებს და შეუძლია დაეხმაროს სტუდენტებს პროფესიის დაუფლებაში. პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა შეეძლოს სახელმწიფო ენაზე სასწავლო პროცესის წარმართვა და სასწავლო პროცესთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ლიტერატურის გაგება.
5. მასწავლებელს უფლება-მოვალეობებია:

   ა) სასწავლო პროცესის წარმართვა;

   ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირებაში, მოდიფიცირებასა და დანერგვაში მონაწილეობა;

   გ) საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო პროგრამების შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;

   დ) მოდულის დაწყებამდე 7 სამუშაო დღით ადრე კალენდარული გეგმის შემუშავება და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისთვის გადაცემა.

   ე) შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება;

   ვ) კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ბრძანების საფუძველზე შექმნილი სააპელაციო კომისიის წევრობა და მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შემთხვევაში;

   ზ) პროფესიული სტუდენტისთვის ინფორმაციის მიწოდება შეფასების პროცედურისა და ინსტრუმენტის/ინსტრუმენტების შესახებ განმსაზღვრელ შეფასებამდე 3 სამუშაო დღით ადრე;

   თ) შეფასების ინსტრუმენტების შეგროვება, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურისთვის გადაცემა, მოდულის დასრულებიდან 6 დღის განმავლობაში.

   ი) ჩარევის გარეშე განახორციელოს თეორიული და პრაქტიკული სწავლება;

კ) ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;

6. პროფესიული მასწავლებელი ვალდებულებულია დაიცვას ამ წესითა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და შეასრულოს მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობები.
7. პროფესიული განათლების მასწავლებლის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველია:

   ა) პირადი განცხადება;

   ბ) ვადიანი შრომთი ხელშეკრულების ვადის გასვლა;

   გ) შინაგანაწესის და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების უხეში ან სისტემატური დარღვევა;

   დ) შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა;

   ე) კანონმდებლობით განსაზღრული სხვა შემთხვევები;
8. პროფესიული განათლების მასწავლებელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი.

მუხლი 3. პროგრამის განმახორციელებელი

1. პროგრამის განმახორციელებელი არის პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში.
2. პროგრამის განმახორციელებელი შეიძლება იყოს უმაღლესი განათლების ან პროფესიული განათლების V საფეხურის კვალიფიკაციის მფლობელი ან უმაღლესი სასწავლებლის დამამთავრებელი კურსის სტუდენტი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება.
3. პროგრამის განმახორციელებელს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი.
4. პროგრამის განმახორციელებლის ფუნქცია-მოვალეობებია:

   ა)პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის შემუშავებასა და დანერგვაში მონაწილეობა;

   ბ)შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება;

   გ)მსმენელთა დეტალური ინფორმირება შეფასების პროცედურის შესახებ შეფასებამდე 2 სამუშაო დღით ადრე;

   დ)თემის დამთავრების შემდგომ მსმენელთა შეფასება;

   ე)კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე შექმნილი სააპელაციო კომისიის წევრობა და მის მუშაობაში აქტიური მონაწილეობა ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შემთხვევაში;

5. კომპეტენციის ფარგლებში კოლეჯის დირექტორის, დირექტორის მოადგილის, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სხვა დავალებათა და კოლეჯის შიდა მარეგულირებელი აქტებით გათვალისწინებულ სხვა ვალდებულებათა შესრულება.

მუხლი 4. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის სამსახურში მიღების ზოგადი წესი

1. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის სამსახურში მიღება ხორციელდება საქართველოს ორგანული კანონით ,,საქართველოს შრომის კოდექსი“, კოლეჯის თანამდებობრივი ინსტრუქცია დებულებით, საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკისა, ამ წესითა და სხვა მარეგილირებელი აქტების საფუძველზე.
2. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის სამსახურში იღებს და სამსახურიდან ათავისუფლებს კოლეჯის დირექტორი. სამსახურში მიღება ეფუძნება თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეულ შეთანხმებას.
3. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის შერჩევის მიზნით დირექტორის ბრძანების საფუძველზე, კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე ან/და დასაქმების შესაბამის ვებ-გვერდებზე ქვეყნდება ინფორმაცია პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის

განმახორციელებლის ვაკანსიის შესახებ, სადაც მითითებულია ვაკანსიის დასახელება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, ვადები და სხვა პირობები.

4. ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების დღიდან იწყება საბუთების მიღება.
5. ვაკანსიაში მითითებული ვადის ამოწურვის შემდეგ კოლეჯის დირექტორის, ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერისა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად წარმოებს წარმოდგენილი დოკუმენტაციის განიხილვა და შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება.
6. გასაუბრების შედეგად კონკრეტულ პოზიციაზე შერჩეული კანდიდატი ეცნობა მის ელექტრონულ ფოსტაზე გადაგზავნილ კოლეჯის შინაგანაწესსა და ეთიკის კოდექსს, წერს განცხადებას კოლეჯის დირექტორის სახელზე სამსახურში მიღების თაობაზე, რის შემდეგაც დირექტორი გამოსცემს ბრძანებას რომლის საფუძველზეც შერჩეულ პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის კანდიდატთან ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება.
7. თუ მოდულის/თემის დაწყებამდე მაქსიმუმ 5 დღით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი/პროგრამის განმახორციელებელი ატყობინებს კოლეჯს რომ ვერ შეძლებს მოდულის/თემის განხორციელებას, კოლეჯი გამონაკლისის სახით ვაკანსიის გამოცხადების გარეშე იყვანს პირს, რომელიც აკმაყოფილებს წინამდებარე წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს და ამ პირთან აფორმებს მომსახურების ხელშეკრულებას (პროფესიული განათლების მასწავლებლის შემთხვევაში პირი ვალდებულია მოდულის დაწყებამდე წარმოადგინოს კალენდარული გეგმა და შეფასების ინსტრუმენტი)
8. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის სამსახურებრივი უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება მომსახურების ხელშეკრულებით, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, კოლეჯის თანამდებობრივ ინსტრუქცია დებულებას, საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკას, შინაგანაწესს და კოლეჯში მოქმედ სხვა მარეგულირებელ აქტებს.
9. პრაქტიკული კომპონენტის პრაქტიკის ბაზაზე ჩატარებისას, პრაქტიკას განახორციელებენ ბაზის (პრაქტიკის ობიექტის) მიერ შეთავაზებული შესაბამისი პირები ან/და პროფესიული განათლების მასწავლებლები/პროგრამის განმახორციელებლები.
10. პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელი პირი, უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე წესით და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით/პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამით დადგენილ შესაბამის მოთხოვნებს.
11. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის სამსახურში მიღება შეიძლება განხორციელდეს ასევე კონკურსის წესით. კონკურსის ჩატრების პირობები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით. კონკურსის ჩატარების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი.
12. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის სამსახურში მიღებისას შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები, შესასრულებელი სამუშაოების გათვალისწინებით, განისაზღვრება ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 5. სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით წარმოსადგენილი დოკუმენტები

1. პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროგრამის განმახორციელებლის სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით დოკუმენტების მიღებას ახორციელებს კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი.
2. სამსახურში მიღების მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა)პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ)განცხადება სამსახურში მიღების შესახებ;

გ)ავტობიოგრაფია/CV;

დ)განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე)კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი დოკუმენტები, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ვ)ცნობა სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის ნასამართლეობის შესახებ;

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, კოლეჯი უფლებამოსილია საჭიროების შემთხვევაში კანდიდატისაგან მოითხოვოს სხვა დოკუმენტების წარდგენა, შეამოწმოს მათი სისწორე ან მოიპოვოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ესაჭიროება შრომითი ურთიერთობის თაობაზე გადაწყვეტილების მისაღებად.
4. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორესა და ნამდვილობაზე პასუხისმგებელია დოკუმენტაციის წარმომდგენი პირი.
5.მოთხოვნილი დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში კანდიდატს ეძლევა ვადა - 5 სამუშაო დღე, ხარვეზის გამოსასწორებლად. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ ხსენებულ დოკუმენტთა წარმოუდგენლობა შეიძლება გახდეს ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის საფუძველი.
6.სამსახურში მიღებამდე სამსახურში მიღების მსურველი პირის შესახებ მიღებული ინფორმაცია არ არის საჯარო და არ შეიძლება გახდეს ცნობილი მესამე პირისათვის მისი თანხმობის გარეშე.
7.გადაწყვეტილებას პირის სამსახურში მიღებასთან დაკავშირებით იღებს კოლეჯის დირექტორი.

მუხლი 6. დასკვნითი დებულება

1.წინამდებარე წესი მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით;
2.წინამდებარე წესში ცვლილებები და დამატებები შედის კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.